პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 36 (7597)

19 თებერვალი, კვირა, 1984 წ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

ფასი 3 კაპ.

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ანონსი

ანონსი

ანონსი

ანონსი

ანონსი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს სარაევოში, „ზეტრას“ სპორტკომპლექსის სპორტის სასახლეში საზეიმოდ დაიხურება ზამთრის XIV ოლიმპიური თამაშები. ორი კვირის მანძილზე ეს ასპარეზობა მთელი მსოფლიოს სპორტული საზოგადოებრიობის ყურადღების ცენტრში იყო მოქცეული. სარაევო ემშვიდობება 49 ქვეყნის წარგზავნილთ. ოთხი წლის შემდეგ ისინი კანადის ქალაქ კალგარიში, ზამთრის XV ოლიმპიადაზე შეიკრიბებიან. თამაშების ბოლო დღეს ღირსეული მფლობელი გამოუჩნდება მედლების უკანასკნელ სამ კომპლექტს: უძლიერესებს გამოავლენენ 50-კილომეტრიან დისტანციაზე მოასპარეზე მოთხილამურენი, სლალომისტი ვაჟები და ჰოკეისტები. ეს ასპარეზობანი შეგიძლიათ ნახოთ ტელევიზიის პირველი პროგრამით 13 სთ და 16 სთ 30 წთ. 21 საათზე ნახავთ ფიგურული ციგურაობის ოსტატთა საჩვენებელ გამოსვლებს, ხოლო 23 საათზე — ოლიმპიადის საზეიმო დახურვას.

ქართული სპორტის ზოგიერთი სახეობის, კერძოდ მძლეოსნობის ჩამორჩენა დღეს სპორტის მესვეურთა და გულშემატკივართა თავიდათავი საფიქრალია. რა ვიღონოთ, როგორ გავაღვიძოთ მიძინებული „დედოფალი“, თანაც ისე, რომ აღარასოდეს ჩათვლიმოს. მკერდზე მჯიღის ცემა რომ საქმეს არ უშველის, ეს დღესავით ნათელია. ჩიხიდან დროზე თავის დაღწევა კი, რა თქმა უნდა, აუცილებელია.

იმაზე, თუ როგორ ირჯებიან გარდაბნის რაიონის სოფელ მზიანეთის რვაწლიანი სკოლის ფიზაღზრდის მასწავლებელი ჯუმბერ მაისურაძე და მისი შეგირდები, მოგითხრობთ გაზეთის მე-2 გვერდზე.

თეთრი ოლიმპიადა: დღე უკანასკნელი

SARAJEVO '84

0,05 წამი მალკოვის სასარგებლოდ

სპორტის მოყვარულებს კარგად ახსოვთ ხუთკილომეტრიან დისტანციაზე ციგურებით სწრაფრბენის ოსტატთა ოლიმპიური ასპარეზობის დრამატული ფინალი. რამდენიმე დღის წინათ გამართული ეს შეჯიბრება შვედმა თომას გუსტაფსონმა მოიგო — წამის სულ რაღაც ორი მეასედით აჯობა ახალგაზრდა საბჭოთა სპორტსმენს იგორ მალკოვს. სპრინტში — 500 მეტრზე რბენაში — წამის ორი მეასედით დამარცხებაზე შესაძლოა, არც არავის გაემახვილებინა ყურადღება, სტაიერული დისტანციისთვის კი ორი მეასედი მართლაც მეტად მცირე დროა. მაშინ მალკოვმა კორესპონდენტებთან საუბარში განაცხადა: „მე ათ კილომეტრზე რბენაშიც ვცდი ძალას და იმედი მაქვს, რომ შევძლებ გუსტაფსონის დამარცხებას“.

19 წლის პერვოურალსკელი მოციგურავე სიტყვის კაცი გამოდგა: გუშინ „ზეტრას“ სპორტკომპლექსის ხელოვნურსაფარიან საციგურაოზე გამართულ ასპარეზობაში მან მართლაც აჯობა გამოცდილ შვედს და ამ დისტანციაზე ოლიმპიადების ისტორიაში პირველი ოქროს მედალი მოუტანა თავის ქვეყანას.

გუსტაფსონმა, რომელმაც მეორე წყვილში აიღო სტარტი, კარგი შედეგი აჩვენა — 14.39,95. სწორედ ეს დრო იქცა ორიენტირად შეჯიბრების დანარჩენი მონაწილეებისთვის, უპირველეს ყოვლისა კი — მალკოვისთვის. თავიდან იგორი აშკარად ჩამორჩებოდა გუსტაფსონის რბენის გრაფიკს. მაგრამ რაც უფრო ახლოვდებოდა ფინიში, სხვაობა სულ უფრო მცირდებოდა. ბოლო, 25-ე წრის დაწყებამდე ჩამორჩენა უკვე სულ რაღაც 0,25 წამს შეადგენდა. მალკოვმა უკანასკნელი ძალები მოიკრიბა და, როცა მან ფინიშის ხაზი გადაკვეთა, ტაბლოზე აინთო ციფრები — 14.39,90. ციგურებით სწრაფრბენის ყველაზე გრძელ დისტანციაზე ოქროს მედლის ბედი წამის ხუთმა მეასედმა გადაწყვიტა!

მსოფლიოს ორმა უძლიერესმა სტაიერმა (ახლა უკვე თამამად შეიძლება ეს ითქვას) — იგორ მალკოვმა და თომას გუსტაფსონმა თანაბრად გაინაწილეს ოლიმპიური მედლები: თითო ოქროსა და ვერცხლის ჯილდო მოიპოვეს.

III ადგილზე, ისევე როგორც 5 კილომეტრზე რბენაში, გდრ-ის წარმომადგენელი რენე შიოფიში გავიდა — 14.46,91. 25 წლის ლენინგრადელი სპორტსმენი დიმიტრი ბოჩკარიოვი მეექვსეა — 14.55,32. კიდევ ერთი საბჭოთა მოციგურავე კონსტანტინ კოროტკოვი XIII ადგილს დასჯერდა — 15.11,10.

(დასასრული მე-4 გვერდზე)

ცხენოსნობაში წარმატება არც მხოლოდ მხედარზეა დამოკიდებული და არც მერანზე. ასპარეზობისას სასურველი შედეგი მათი შეთანხმებული აზროვნებითა და მოქმედებით მიიღწევა.

ვამეხ გაჩეჩილაძე და მისი მერანი რენზისტონი თითქმის წელიწადია ერთად ემზადებიან დაბრკოლებათა გადალახვაში შეჯიბრებებისათვის. ამ მოკლე ხანშიც ცხენმა და მხედარმა კარგად გაუგეს ერთმანეთს. აკი მოიგეს კიდეც თბილისის ზამთრის პირველობის ორი ყველაზე რთული პროგრამა.

მასალას თბილისის ზამთრის პირველობაზე ცხენოსნობაში გთავაზობთ გაზეთის მე-3 გვერდზე.

9 მარტს ვილნიუსში დაიწყება მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ფინალური მატჩი ვ. სმისლოვსა და გ. კასპაროვს შორის. თუ როგორ ემზადებიან მატჩისთვის დიდოსტატები და ლიტვის დედაქალაქი, მოგითხრობთ მე-3 გვერდზე.

სსრ კავშირის თასი მძლეოსნურ კროსში

მძლეოსნობის მოყვარულებისათვის ცნობილია, რომ საბჭოთა კავშირის თასი მძლეოსნურ კროსში პირველად შარშან, თბილისში გათამაშდა. გუშინ ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქმა მეორედ უმასპინძლა ქვეყნის თასის ფინალის 300-ზე მეტ მონაწილეს. ამჯერად შეჯიბრების პროგრამა ოდნავ შეიცვალა: მას დაემატა 5-კილომეტრიანი დისტანცია ვაჟებისათვის და 3-კილომეტრიანი — ქალებისათვის. ასპარეზობა, რომელიც თბილისის სახელმწიფო იპოდრომზე მიმდინარეობდა, უაღრესად დაძაბული გამოდგა. ცალკეულ დისტანციებზე გაიმარჯვეს: **3000 მ. გოგონები.** ტ. მალიში („დინამო“) — 9.54,6. **3000 მ. ქალები.** ლ. მატვეევა („ზენიტი“) — 9.23,8. **5000 მ. ქალები.** ნ. აროემოვა („დინამო“) — 16.14,0 **5000 მ. ჭაბუკები.** გ. დეკსნისი („შრ. რეზერვები“) — 14.51,0. **5000 მ. ვაჟები.** ვ. ჩუმაკოვი („დინამო“) — 14.07,4. **10000 მ. ვაჟები.** ი. კონოვალოვი („ლოკომოტივი“)— 29.15,9.

გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს არმიელებმა.

შეჯიბრების ვრცელი ანგარიში იხილეთ „ლელოს“ უახლოეს ნომერში.

ელვა-ინფორმაცია

როგორც ცნობილია, თვის პირველ რიცხვებში სპორტის სასახლე მასპინძლობდა თავისუფალ ჭიდაობაში თბილისის XXIII ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირს. ჭიდაობის მოყვარულებმა არაერთი საინტერესო ორთაბრძოლა იხილეს. ჩვენს დედაქალაქში ჩამოვიდნენ სახელგანთქმული ფალავნები, ცნობილი სპეციალისტები.

მე-3 გვერდზე გთავაზობთ ჩვენი კორესპონდენტის ინტერვიუს ტურნირის რამდენიმე სტუმართან.

რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე ითქვა: „ფიზკულტურულ-მასობრივი ღონისძიებებისათვის გამოყოფილ სახსრებს წლითიწლობით სრულად ვერ ითვისებენ. ამბობენ, რომ აქვთ სიძნელეები სპორტული ინვენტარის შეძენასთან დაკავშირებით, მოწესრიგებული არ არის ცალკეული ფორმალური მომენტები“.

ფიქრები ხმამაღლა...

შეზღუდვა საქმის საზიანოდ?..

- ხელცარიელი კოლექტივები
- „ვეტო“ — ბურთს
- თანხა გინდ გქონია, გინდ არა
- საყვედური სიახლის გამო

რაც მართალია, მართალია, ჩვენი რესპუბლიკის სპორტულ მაღაზიებში ბოლო ხანებში საგრძნობლად იმატა იმ სპორტულმა ნაწარმმა, რომელზედაც დიდი მოთხოვნილებაა ფიზკულტურისა და სპორტის მოყვარულებში. ყოველ შემთხვევაში, სავაჭრო ორგანიზაციები ცდილობენ მაქსიმალურად დააკმაყოფილონ მომხმარებლის მოთხოვნილება. და მაინც, ბევრი მათგანი უკმაყოფილო ტოვებს მაღაზიას. ვგულისხმობთ არა ინდივიდუალურ, არამედ კოლექტიურ მომხმარებელს, იმ საწარმო-დაწესებულებებს, რომლებსაც პროფკავშირული ორგანიზაციის ხარჯთაღრიცხვაში ან ბიუჯეტში სპორტული ფორმისა და ინვენტარის შეძენა აქვთ გათვალისწინებული. ფაქტობრივად ესაა ჩვენი ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობის უკლებლივ ყველა უბანი.

ამ რამდენიმე წლის წინათ საქმე ჩინებულად იყო მოგვარებული. ამა თუ იმ სპორტული ორგანიზაციის ან კოლექტივის წარმომადგენელი მიაკითხავდა სპეციალიზებულ მაღაზიას და ღირებულების გადარიცხვით შეიძენდა მისთვის აუცილებელ სპორტულ ნაწარმს. მერე საქმე თანდათან გართულდა, ჯერ იმ მაღაზიების რიცხვი შემცირდა, რომლებსაც თანხის გადარიცხვით ორგანიზაციებზე სპორტული საქონლის გაცემის უფლება ჰქონდათ, შემდეგ კი საოცრად შეიზღუდა ამ წესით გასაყიდი საქონლის ასორტიმენტი. ასეა თუ ისე, ახლა უნაღდო ანგარიშსწორებით სპორტული ნაწარმის მიღება მაღაზიიდან შეუძლია მხოლოდ რამდენიმე დაწესებულებას, თუმცა მაღაზია ვერც მათ მიმართაა ხელგაშლილი — ერთობ შეზღუდულია ლიმიტი.

უამრავი ფიზკულტურული კოლექტივი, როგორც იტყვიან, ხელცარიელი რჩება. არადა, სწორედ ფიზკულტურული კოლექტივია ის უმთავრესი რგოლი, სადაც საფუძველი ეყრება მასობრიობას, წყდება შრომისა და დასვენების გონივრული ურთიერთშეხამების საკითხი. მართლაც საოცარია: სწორედ მაშინ, როცა ამდენი ღონისძიება ტარდება ფიზკულტურასა და სპორტში მშრომელთა მოსაზიდად, როცა ესოდენ ჩქარი ტემპით ვითარდება სპორტული ინდუსტრია, სწორედ მაშინ აღმოჩნდა ხელოვნურად ჩახერგილი სპორტული ფორმისა და ინვენტარის შეძენის გზა. წერილის მზადების პროცესში რამდენიმე სპორტულ საზოგადოებაში და პროფკავშირების დარგობრივ რესპუბლიკურ კომიტეტებში შევეცადეთ გაგვერკვია ამ პრობლემასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხი. ყველა ერთნაირადაა შეშფოთებული იმით, რომ სპორტულ ნაწარმს „ვეტო“ ადევს. ამ მიზნით გამოყოფილი დიდძალი თანხა ყოველწლიურად აუთვისებელი რჩება როგორც თბილისში, ისე რესპუბლიკის ცალკეულ ქალაქებსა და რაიონებში. საგანგაშო მდგომარეობაა სხვადასხვა ტიპის სპორტულ სკოლებშიც. სპორტული ფორმა და ინვენტარი, ცხადია, ფუფუნების საგანი არ არის, ის აუცილებელია საწვრთნელი პროცესის ნორმალურად ჩატარებისთვის. თუ გულახდილები ვიქნებით, ისიც უნდა ითქვას, რომ სპორტში ჩვენი შედეგების დაქვეითების მიზეზი ალბათ ამ პრობლემის მოუგვარებლობაშიც უნდა ვეძიოთ.

პირდაპირ ანეკდოტური ამბავია: შრომით კოლექტივებს, სხვა ინვენტარზე რომ არაფერი ვთქვათ, გადარიცხვით ფეხბურთის, კალათბურთისა და ფრენბურთის ბურთისა და ტურისტური აღჭურვილობის შეძენაც კი ვერ მოუხერხებიათ. მეტიც, საკავშირო სპორტკომიტეტის 1975 წლის 19 სექტემბრის № 923 ბრძანებით დადგენილია იმ სპორტული ნაწარმის ნუსხა, რომელიც უნდა მიეცეს მწვრთნელებს და მომეცადინეებს. თავი გავანებოთ სპორტის სხვა სახეობებს. მარტო მშდ კომპლექსის ჩამბარებელთათვის ამ ნუსხაში შეტანილია მაისურები, ტრუსები და სპორტული ჩუსტები. მაგრამ ნურას უკაცრავად, არც ამის შეძენა შეუძლია ფიზკულტურულ კოლექტივს და წარმოების სპორტულ კლუბს. ჩაბარებით კი მოგეხსენებათ მშდ კომპლექსი უკლებლივ ყველა მუშა-მოსამსახურემ უნდა ჩააბაროს და ეს მაჩვენებელი ახლა სახელმწიფო გეგმაშიც შედის.

ბუნებრივია: როცა საქმეში წინააღმდეგობას აწყდები, სხვა გზას ეძებ, ასე ზოგჯერ ჩინებული სიახლეც იბადება ხოლმე, მაგრამ საკმარისია მაკონტროლებელ ორგანიზაციაში ერთი ვიღაც გამოჩნდეს, რომელიც ყოველგვარი სიახლის წინააღმდეგი და ადრე დაკანონებულის ერთგული მსახურია, რომ ის, რასაც წვალებით მიაღწიეს, უმოწყალოდ გაცამტვერდეს. ასეთ დროს შეიძლება სითამამისთვის ინიციატივიანმა მუშაკმა საყვედურიც დაიმსახუროს. ამას უსაბუთოდ არ მოგახსენებთ. ტყიბულში, მაგალითად, შახტმშენის სპორტულმა კომბინატმა დაქვემდებარებული ორგანიზაციების სახსრები წლის ბოლოს გააერთიანა და მისთვის მინიჭებული გადარიცხვის უფლებით კოოპერირების წესით შეიძინა სპორტული საქონელი. მერე იგი იმის მიხედვით დაუნაწილა ორგანიზაციებს ვინ რამდენი თანხა გაიღო. მე რომ მკითხოთ, ჩინებული პრაქტიკაა. ალბათ სწორედ ეს გამოცდილება უნდა განვაზოგადოთ თუ უკეთესი გზა არ გამოინახა. ტყიბულელებს კი, მიუხედავად იმისა, რომ არავის არაფერი მიუთვისებია, ცენტრიდან ჩასულმა რევიზორებმა ეს სიახლე დარღვევად ჩაუთვალეს.

ეს — რაც შეეხება ფიზკულტურულ კოლექტივებს. ასეთივე გასაჭირშია სპორტული სკოლები, სპორტული ბაზები, ნაკრები გუნდები. ჩვენი ნორჩი სპორტსმენები ახლა მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადისთვის ემზადებიან და არ მახსენდება რესპუბლიკის განათლების სამინისტროში ჩატარებული სპარტაკიადისათვის მზადების ოპერატიული შტაბის სხდომა, რომელზედაც ამ პრობლემას არ შეხებოდნენ. ამიტომ, სრულიად ბუნებრივია, რომ ეს საკითხი ამ დღეებში მოსწავლეთა სპარტაკიადისათვის მზადების საორგანიზაციო კომიტეტის სხდომაზეც დაისვა.

რა დასკვნა შეიძლება გამოვიტანოთ ზემოთქმულიდან, უფრო სწორად, რა უნდა ვიღონოთ, რომ ფიზკულტურულმა კოლექტივებმა და სპორტულმა სკოლებმა სავაჭრო ორგანიზაციებიდან თანხის გადარიცხვით მიიღონ აუცილებელი სპორტული ფორმა და ინვენტარი? თუ საკითხს ხალხის კეთილდღეობისა და ქართული სპორტის ინტერესების გათვალისწინებით მივუდგებით, ვფიქრობთ, ერთი მეორის საწინააღმდეგო აზრი არც ერთ ინსტანციაში არ გამოითქმება. ბოლოს და ბოლოს, საქმე ფიზკულტურისა და სპორტის მასობრიობის საზიანო შეზღუდვებს ეხება.

თენგიზ გაჩეჩილაძე.

ოსტატი და შეგირდი: ჯუმბ
მაისურაძე და მანანა ლობჟანიძ

ეროვნული ბიბლიოთეკა

10 თებერვალს, საქართველოს პროფსაბჭოს მძლეოსნობის სასახლეში გამართულ მოსწავლე პირადი პირველობის მაყურებლებ, მსაჯებსა და სპეციალისტებს თუ სასიამოვნო სიურპრიზი ელოდათ — იმ დღეს გარდაბნელმა მანანა ლობჟანიძემ 5-კილომეტრიან დისტანციაზე სპორტულ სიარულ საქართველოს ახალი რეკორდი (25.51,8) დაამყარა და ამ შედეგით სპორტის ოსტატობის კანდიდატ ნორმას გადააჭარბა.

სიურპრიზი თუ სენსაცია?

კაცმა რომ თქვას, ეს ამბავი მხოლოდ სასიამოვნო სიურპრიზის ჩარჩოებში არ თავსდება. საქართველოს მძლეოსნობის მდგომარეობასა და მისი განვითარების პერსპექტივებს თუ გავითვალისწინებთ, 14 წლის გარდაბნელი მოსწავლის მიღწევა სენსაციადაც კი შეიძლება ჩაითვალოს.

სენსაცია... დავწერე ეს სიტყვა და მაშინვე თვალწინ დამიდგა ირონიულად მომღიმარე მკითხველი, თითქოს მომესმა კიდეც: „რა ხალხია ეს ჟურნალისტები; ოღონდაც ყური მოჰკრან რამეს და მაშინვე სენსაციად მონათლავენ“... იქნებ ტყუილად არ იღიმები, მკითხველო, რას იზამ, ჟურნალისტები სიახლის მოყვარულები არიან, ყველგან უჩვეულოსა და განსაკუთრებულს ეძებენ და თუ მიაგნეს, ისეთ ალიაქოთს ასტეხენ, ისეთ ბუქს დააყენებენ, კაცს მეორედ მოსვლა ეგონება, მაგრამ ამჯერად სენსაციის სიყვარულმა როდი დამაწერინა ეს წერილი. მოუმზადებელი, უწვრთნელ-უსწავლელი კაცი ვერც ერთ საქმეში, მით უმეტეს სპორტში, წარმატებას ვერ მიაღწევს. ყოფილა შემთხვევა პოეტს პირველივე ლექსი რიგიანი გამოსვლოდეს, ან დამწყებ სპორტსმენს პირველ შეჯიბრებაშივე ესახელებინოს თავი? წარმატებას რომ მიაღწიო, შენი წონა ოფლი უნდა დაღვარო, მარტო ნიჭი ვერაფერს გიშველის. ცხადია, ისიც საკითხავია, ვინ გამზადებს, ვინ არის შენი პირველი აღმზრდელი, მწვრთნელი თუ გზის გამკვალავი...

მანანა ლობჟანიძეს და მის თანასოფლელებს მძლეოსნობა სკოლის ფიზაღზრდის მასწავლებელმა ჯუმბერ მაისურაძემ შეაყვარა. ეს თბილისელი ახალგაზრდა კაცი 21 წლისა იყო, როცა ფიზკულტურის ინსტიტუტი დაამთავრა და გარდაბნის რაიონში, სოფელ მზიანეთის რვაწლიან სკოლაში დაიწყო მუშაობა. მაშინ, ამ ექვსი წლის წინათ, მზიანეთელი მოსწავლეების ერთადერთი გასართობი ბურთი გახლდათ და თუმცა, სტადიონზე რომ არაფერი ვთქვათ, ერთი უბრალო სპორტული კომპლექსიც არა ჰქონდათ, ბიჭები მაინც ფეხბურთზე იყვნენ გადამკვდარნი, გოგოები კი მხოლოდ მაყურებლის როლით კმაყოფილდებოდნენ.

არც სპორტული დარბაზი, არც ინვენტარი... თავიდან იქნებ გულიც გაუტყდა, არ ვიცი, ამის შესახებ ჯუმბერს ჩემთვის არაფერი უთქვამს, საუბარი იმით დაიწყო, თუ როგორ დაებადა აზრი თავისი მოსწავლეები მძლეოსნობით, კერძოდ რბენით დაეინტერესებინა.

ფიზაღზრდის ახალმა მასწავლებელმა სულ შემოიარა სოფლის შემოგარენი, იქაურობა კარგად შეისწავლა, საავტომობილო გზები გულდაგულ დაზომა, ზედ სარბენი ტრასები მონიშნა და ვარჯიშიც დაიწყო...

თავიდან სკოლის პირველობებს აწყობდა, საკუთარი ფულით ყიდულობდა პატარ-პატარა სუვენირებს, გამარჯვებულებს აჯილდოვებდა. შეჯიბრებაში მოპოვებულმა პრიზებმა ბავშვები გაახალისა, ვარჯიშზე გოგონებმაც დაიწყეს სიარული, გულმოდგინებით მათ ბიჭებსაც კი აჯობეს. შრომამ თავისი გაიტანა. მზიანელმა მძლეოსნებმა რაიონის პირველსავე შეჯიბრებაზე ისახელეს თავი, მერე კი სხვა, უფრო სერიოზული წარმატებაც მოვიდა — 1982 წელს მანანა ჯიმშიტაშვილმა 3-კილომეტრიან დისტანციაზე სპორტულ სიარულში ოსტატობის კანდიდატის ნორმა შეასრულა და საქართველოს რეკორდიც დაამყარა (14.53,2), ლეილა ბეროშვილი, ელენე კინია, თემურ გობეჯიშვილი, ირაკლი გავაშელიშვილი და შალვა ასანიძე კი ჩემპიონები გახდნენ მოსწავლეთა შორის.

ამ ამბავმა ახალგაზრდა მწვრთნელსაც და იმის შეგირდებსაც ფრთები შეასხა. დაინტერესდნენ მშობლებიც და მალე მზიანეთელები მძლეოსნობის დიდი მოყვარულები და გულშემატკივრები გახდნენ.

წელს, კალინინგრადში გამართულ სპორტსაზოგადოება „უროჟაის“ ღია პირველობაზე, რომელშიც ლოკომოტიველი მოსწავლე-სპორტსმენებიც მონაწილეობდნენ, მანანა ლობჟანიძემ 5-კილომეტრიან დისტანციაზე III საპრიზო ადგილი დაიკავა. თუმცა კი საქართველოს პროფსაბჭოს მანეჟზე მისი ამასწინანდელი გამარჯვება სიურპრიზად მიიჩნიეს, ჯუმბერ მაისურაძისთვის ეს ამბავი მოულოდნელი სულაც არ იყო. ახალგაზრდა მწვრთნელს მხოლოდ ერთ რამეზე დასწყდა გულ — ავადმყოფობის გამო შეჯიბრებაში მისმა კიდევ ორმა აღსაზრდელმა ვერ მიიღო მონაწილეობა, არადა, საგულისხმო შედეგებს მათგანაც ელოდა. თუმცა ჯერ ყველაფერი წინ არის...

მძლეოსნობის ქართველი გულშემატკივრები მზიანეთელი მოსწავლეებისგან ახალ სიურპრიზებს მოელიან, სიურპრიზებს, რომლებმაც მათ პატარა სოფელს საქვეყნოდ უნდა გაუთქვას სახელი.

ნუგზარ შატაიძე.

სკოლის რეფორმა: რა და როგორ?

თუ ეს საკითხები გადაიჭრება...

გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ფიზკულტურაში კვირაში ორი გაკვეთილი ვერ პასუხობს მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდის სადღეისო მოთხოვნას. წინადადება შემომაქვს გაკვეთილები ფიზკულტურაში I-IV კლასებში ყოველდღიურად ჩავატაროთ, ხოლო V-XI კლასების გაკვეთილები გადავიტანოთ ბავშვთა და მოზარდთა სპორტულ სკოლებში, მიუხედავად ამ სკოლების უწყებრიობისა. ფიზკულტურის გაკვეთილებიდან გამოთავისუფლებული 490 საათი შეიძლება მოხმარდეს სასკოლო სპორტულ სექციებში მეცადინეობას და სხვა დისციპლინების გაღრმავებულ სწავლებას. ეს პროცესი, სადაც ამის რეალური შესაძლებლობები გვაქვს, უნდა განხორციელდეს თანდათანობით. ამასთან, სკოლას, სადაც მხოლოდ 12 კლასი მეცადინეობს, უნდა ჰქონდეს 2 სტანდარტული სპორტული დარბაზი. ჯერჯერობით კი გამოსავალი სხვადასხვა უწყების ბაზის რაციონალურ გამოყენებაში უნდა ვეძიოთ. აუცილებლად უნდა გავაფართოვოთ სპორტული ბაზების ქსელი, რაც შესაძლებლობას მოგვცემს რეალობად ვაქციოთ საკავშირო პროფსაბჭოს გადაწყვეტილება ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი სპორტული სკოლების გახსნის შესახებ.

ორგანიზაციულად უნდა გარდავქმნათ და ახალი შინაარსი შევძინოთ მოსწავლეთა დიდ დასვენებას. მეტი ყურადღება გვმართებს სკოლამდელ დაწესებულებებში ბავშვთა ფიზიკური აღზრდისადმი. აქ ისე უნდა აეწყოს საქმე, რომ შესაძლებლობა მოგვეცეს ადრეულ ასაკშივე გამოვავლინოთ სათანადო მიდრეკილებების მქონე მოზარდები. ეს ხელს შეგვიწყობს დიდი სპორტისათვის სრულფასოვანი რეზერვის მომზადებაში. მე მხარს ვუჭერ ყველას, ვინც მომხრეა IX-XI კლასებში მოსწავლეთა ნიჭის მიხედვით დამკვიდრდეს არა ფაკულტატური, არამედ სავალდებულო სწავლება. ეს დაგვეხმარება უკეთ გამოვავლინოთ ის ახალგაზრდები, რომლებსაც აქვთ სათანადო მონაცემები გახდნენ ფიზკულტურისა და სპორტის სპეციალისტები. და კიდევ ერთი: ყოველმხრივ უნდა წავახალისოთ ფიზკულტურის მასწავლებელი. ეს კარგი სტიმული იქნება ახალგაზრდა სპეციალისტებისათვის, რომლებიც რატომღაც თავს არიდებენ სკოლაში მუშაობას. როცა ამ პრობლემის გადაჭრაზე ვფიქრობთ, კარგად უნდა გვახსოვდეს ვ. ი. ლენინის სიტყვები იმის შესახებ, რომ... „ყველაზე მთავარი და მთავარია გავაუმჯობესოთ სახალხო მასწავლებლის მატერიალური მდგომარეობა“.

გიორგი ჯილაია,
მათემატიკოსი, სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი.

ჯერ დავეხმარო

მინდა შევეხო შრომისა და სწავლების, კერძოდ, შრომისა და ფიზიკური აღზრდის ურთიერთკავშირს. მოზარდს შრომაც აკაჟებს. თავის მხრივ ფიზკულტურასა და სპორტში მეცადინეობაც ერთგვარი შრომაა. ომამდე აჭარაში ვმასწავლებლობდი და პედკოლექტივი მოსწავლეებთან ერთად ფიზიკურად ვმუშაობდით სოფლის საკეთილდღეოდ. ზამთარში თოვლიან გზებსაც ვწმენდდით. რაც მთავარია, ჩვენი ხელით ვაწყობდით სპორტულ მოედნებს, ვაკეთებდით ორძელს, ძელს, დგომ ბავშვები მაშინ ხავსით გატენილ ბურთით თამაშობდნენ, სილით ავსილი ჩამოკიდებული ტომარა კი მოკრივეებს „სპარინგ-პარტნიორობას“ უწევდა. ანდა, სად იყო ფარიკაობის ინვენტარი — სუფთა ჰაერზე ჯოხებით ფარიკაობდნენ ბავშვები, სისტემატურად ვატარებდით გადარბენებს, ვაწყობდით ტურისტულ ლაშქრობებს. ვფიქრობ, სკოლის რეფორმამ შრომისა და ფიზიკური აღზრდის ამოცანები ერთმანეთთან მჭიდროდ უნდა დააკავშირო

ფიზიკური აღზრდისა და შრომის მასწავლებლებს ჯერ უნდა დავეხმაროთ პრობლემების გადაწყვეტაში და შემდეგ მოვთხოვოთ სკოლაში ფიზიკური და შრომითი აღზრდის ურთიერთშერწყმა.

ივანე კაკაბაძე,
საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებელი.

კონკურენცია გაიზარდა

მას შემდეგ, რაც თბილისში საქართველოს განათლების სამინისტროს ბავშვთა და მოზარდთა რესპუბლიკური საცხენოსნო სპორტული სკოლა გაიხსნა, სპორტის ამ სახეობას ბევრად მეტი მიმდევარი გაუჩნდა დედაქალაქში. თბილისში ახლა ცხენოსნობის განვითარების ორი დასაყრდენი პუნქტი გვაქვს: ერთია ხსენებული სკოლა, მეორე — საქართველოს სპორტკომიტეტის ცენტრალური საცხენოსნო ბაზა. წინათ, მაგალითად, თბილისის პირველობის სარბიელზე ძირითადად საცხენოსნო ბაზის წარმომადგენლები გამოდიოდნენ და ასპარეზობაც ერთი ბაზის შეჯიბრებას ემსგავსებოდა. ახლა კონკურენცია გამწვავდა და ამან, რაც ყველაზე სასიხარულოა, ხელი შეუწყო სპორტული ოსტატობის ამაღლებას. რესპუბლიკის ნაკრებ გუნდებში ყოველწლიურად სულ უფრო მეტი თბილისელი მხედარი იმკვიდრებს ადგილს. ეს ალბათ იმიტომაც ხდება, რომ ქალაქის სპორტკომიტეტი სისტემატურად აწყობს ცხენოსანთა შეჯიბრებებს. და აი, მხედართა სპორტული ღონისძიებების კალენდარში გამოჩნდა კიდევ ერთი საინტერესო ასპარეზობა — თბილისის ზამთრის პირველობა. შეჯიბრება ამ დღეებში თბილისის იპოდრომის მანეჟში ჩატარდა იმავე პროგრამით, რასაც საკავშირო მოთხოვნები სპორტული სეზონის დასაწყისისათვის ითვალისწინებს. სარბიელზე გამოვიდა 22 რჩეული თბილისელი მხედარი.

„გახსნის პრიზზე" შეჯიბრებაში საუკეთესო იყო განათლების სამინისტროს სპორტული სკოლის წარმომადგენელი ვიქტორ აივაზაშვილი, მეორე და მესამე ადგილები შესაბამისად წილად ხვდათ საცხენოსნო ბაზის მხედრებს კახა კიკიანს და ხვიჩა ტუსიშვილს. „ამორჩევით" დაბრკოლებათა გადალახვაში გაიმარჯვა ზაზა გონჯილაშვილმა (სპორტული სკოლა), მისი თანაგუნდელი ვ. აივაზაშვილი ამჯერად მესამე იყო, II ადგილზეა შალვა ჰაფოძე (საცხენოსნო ბაზა).

ყველაზე რთული პროგრამით შეჯიბრებაში — „თბილისის თასზე" დაბრკოლებათა გადალახვაში ჩემპიონის წოდება წილად ხვდა თბილისის 147-ე საშუალო სკოლის მე-8 კლასის მოსწავლეს ვაჟებ გაჩეჩილაძეს, იგი უძლიერესი იყო „ძალისმიერ" ხტომებშიც. ასპარეზობის ორ სახეობაში საუკეთესო შედეგისათვის ვ. გაჩეჩილაძეს გადაეცა „მეცხენეობის, საცხენოსნო სპორტისა და ტურიზმის განვითარების ხელშემწყობი რესპუბლიკური საზოგადოების" სპეციალური პრიზი.

„თბილისის თასზე" შეჯიბრებაში მეორე იყო ვ. აივაზაშვილი, მესამე — სოფიკო გორგოძე (სპორტული სკოლა). „ძალისმიერ ხტომებში" II და III ადგილები დაიკავეს ზ. გონჯილაშვილმა და ს. გორგოძემ. ორჭიდში ახალგაზრდა ცხენებისთვის გაიმარჯვა რამა[illegible]ლმა. II ადგილზეა [illegible]ვი (ორივე—სპორტული სკოლა), მესამე ადგილი არ გათამაშებულა. ამავე სახეობაში უფროსი ასაკის ცხენებისთვის ადგილები ასე განაწილდა: 1. გია ჩომახიძე, 2. ირაკლი ჰაფოძე, 3. კახა გელუტაშვილი (სამივე— საცხენოსნო ბაზა). ცხენის გაწვრთნაში საშუალო პრიზი მოიგო იუნონა კოჟინამ, II და III ადგილები შესაბამისად დაიკავეს დავით თოფურიამ და ლევან ჯიშკარიანმა (სამივე — საცხენოსნო ბაზა).

ასპარეზობის შემდეგ მწვრთნელებმა შეარჩიეს რესპუბლიკური ნაკრები გუნდის კანდიდატები, რომლებიც გაისად ჭაბუკთა საკავშირო თამაშებში მიიღებენ მონაწილეობას.

თამაზ ქიქავა.

ვ. სმისლოვ—გ. კასპაროვის მატჩის ირგვლივ

ბოლო დაბრკოლებასთან...

ჭადრაკის სამყარო მოუთმენლად ელის სმისლოვ—კასპაროვის ორთაბრძოლის დაწყებას. კარზეა მომდგარი მატჩის სტარტი. იგი 9 მარტს საზეიმოდ გაიხსნება ვილნიუსში.

ქალაქი საგულდაგულოდ ემზადება პრეტენდენტთა სამასპინძლოდ. შეიქმნა საორგანიზაციო კომიტეტი ქალაქის სახალხო დეპუტატების საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის ა. ვილეიკისის მეთაურობით. ორგანიზატორებს კონსულტაციას უწევს გამოჩენილი ლიტველი მოჭადრაკე და არბიტრი ვ. მიკენასი, რომელიც სმისლოვ—კასპაროვის მატჩის მთავარ მსაჯადაა დანიშნული.

ცნობილია, რომ სმისლოვი და კასპაროვი ვილნიუსის ერთ-ერთი ულამაზესი შენობის — ხელოვნების მუშაკთა სასახლის თეთრ დარბაზში ითამაშებენ. მოჭადრაკეებსა და მაყურებლებს (დარბაზში 300 ადგილია) საუკეთესო პირობები ექნებათ. იქვე, ახლოს,, გაიხსნება პრესცენტრი და კავშირგაბმულობის კვანძი. კიდევ ორ დარბაზში თავის დროზე მთავარსარდალ მ. კუტუზოვის კაბინეტში და მოსასვენებელში ცნობილი მოჭადრაკეები მაყურებლებისთვის გაარჩევენ მატჩში გათამაშებულ პარტიებს და გამართავენ ერთდროული თამაშის სეანსებს.

ვილნიუსში სხვადასხვა ქვეყნის მრავალ ცნობილ დიდოსტატთან ერთად ფიდე-ს პრეზიდენტს ფ. კამპომანესსაც (ფილიპინები) მოელიან.

ამჟამად სმისლოვი და კასპაროვი მატჩისთვის ემზადებიან, მაგრამ ჟურნალისტები მაინც ახერხებენ მათთან შეხვედრას. ეს საუბარი, რომელსაც ახლა შემოკლებით გთავაზობთ, ჩვენს სახელოვან დიდოსტატებთან გაზეთ „მოსკოვსკიე ნოვოსტის" კორესპონდენტმა გამართა.

● როგორია თქვენი მზადების პროგრამა?

სმისლოვი: იგი ორი ძირითადი მიმართულებისგან — თეორიული და ფიზიკური მზადებისგან შედგება. ამოცანად მაქვს დასახული მივაღწიო ისეთ მდგომარეობას, რაც საშუალებას მომცემს ბოლომდე გავუძლო დაძაბულ შეჯიბრებას.

კასპაროვი: ისეთი, როგორიც წინათ მქონდა.

● ხომ არ იქნება საჭირო მატჩის მთელი ლიმიტის, 16 ძირითადი და 4 დამატებითი პარტიის გამოყენება?

სმისლოვი: ეს პროგნოზების სფეროდანაა, მისნობა არ შემიძლია.

კასპაროვი: ნეტავ შემეძლოს ამ კითხვაზე პასუხის გაცემა...

● თქვენი აზრით, რა იქნება მთავარი, რა გადაწყვეტს ვილნიუსის მატჩის ბედს?

სმისლოვი: ამ კითხვას ასე ვუპასუხებ. ეს მთავარი რამდენიმე ნაწილისაგან შედგება. აქ იგულისხმება მომზადების დონეც, ხასიათიც, ჯანმრთელობაც და კარგი შემოქმედებითი განწყობაც.

კასპაროვი: მატჩი აჩვენებს.

● რამდენიმე სიტყვა თქვენი მეტოქის შესახებ?

სმისლოვი: ჩემი მეტოქე კარგადაა ცნობილი. მას ყველაზე მაღალი რეიტინგი აქვს მსოფლიოში და ეს მის წარმატებებზე, საჭადრაკო სარბიელზე სწრაფ წინსვლაზე მეტყველებს. კასპაროვი, როგორც მოჭადრაკე, ისე სწრაფად იზრდება, რომ მისი დახასიათებაც დინამიური უნდა იყოს, იგი მუდმივად იცვლება. უკვე სამატჩო და სატურნირო გამოცდილებაც აქვს. 1976 წლიდან საკმაოდ ბევრს თამაშობს, 1982 წლის შედეგებისთვის კი საჭადრაკო „ოსკარიც" მიიღო, ეს კი საზოგადოებრიობის აზრს გამოხატავს. ერთი სიტყვით, ახალგაზრდობის მიუხედავად, ამჟამად კასპაროვს მსოფლიოში გარკვეული რეპუტაცია აქვს, იგი აღიარებულია.

კასპაროვი: ჩემი მეტოქე დახასიათებას არ საჭიროებს. საკმარისია ითქვას, რომ ვასილ სმისლოვი მსოფლიოს ექსჩემპიონია. ის კი, რაც მან „გვირგვინის" გათამაშების მიმდინარე ციკლში გააკეთა, ჭეშმარიტად ფენომენალური მიღწევაა. ერთის თქმა შემიძლია: პრეტენდენტთა ფინალური მატჩი არ შეიძლება ადვილი იყოს.

● როდის აპირებთ ვილნიუსში ჩასვლას?

სმისლოვი: მატჩის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე.

კასპაროვი: 5 მარტს.

ჭადრაკი

39 პარტია ყოველდღე

ცხინვალი, 18 თებერვალი (**ტელეფონით, „ლელოს" სპეც. კორ.**). პიონერთა სახლში გრძელდება საქართველოს ვაჟთა 44-ე ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი. ყოველდღე ერთდროულად 39 პარტია თამაშდება.

6 ტურის შემდეგ ლიდერობა ხელთ იგდო გ. ბიბილაშვილმა (რუსთავი)—5,5 ქულა, მას ნახევარი ქულით ჩამორჩებიან ვ. პეტუხოვი (თბილისი, დიდოსტატ ელენა ახმილოვსკაიას მეუღლე), გ. ძიმისტარიშვილი (აჭარა), შ. ჭყონია (ფოთი) და ხ. სუპატაშვილი (ქუთაისი), ხოლო ერთი ქულით ი. გოგეშვილი (ბათუმი) და ვ. სკაჩკოვი (რუსთავი).

გორელ ნორჩ მოჭადრაკეს ანა დათუაშვილს 2 ქულა აქვს.

ოთარ დოლიძე,
შეჯიბრების მთავარი მსაჯი, რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.

შაში

გოგონები სჯობნით

კალინინი, 17 თებერვალი (**ტელეფონით, „ლელოს" სპეც. კორ**). აქ მიმდინარეობს სპორტსაზოგადოება „უროჟაის" ცენტრალური საბჭოს ნორჩ მოშაშეთა პირველობა, რომელშიც საქართველოს წარგზავნილებიც მონაწილეობენ.

გოგონათა ტურნირში (მონაწილეობს 14 მოშაშე) 8 ტურის შემდეგ ლიდერთა ჯგუფში ქართველი მოშაშენიც არიან. თამარ გრიგოლია (სამტრედია) 6,5 ქულით II ადგილზეა, ხოლო ლიანა ყაზარაშვილი (კასპი) 6 ქულით III-IV ადგილებს იყოფს.

ჭაბუკთა შეჯიბრებაში კი (მონაწილეობს 15 ყმაწვილი), ჩვენი მოშაშეები უფერულად გამოდიან. 9 ტურის შემდეგ იმედო შანიძე და მალხაზ კრავეიშვილი (ორივე —სამტრედია) მხოლოდ X და XII ადგილებზე არიან.

ლაპარაკობენ სტუმრები

ევგენიუშ ნოიმარკი (პოლონეთის ეროვნული ნაკრების უფროსი მწვრთნელი):

— 1962 წელს, თქვენს ქალაქში ტურისტად მყოფს, მქონდა ბედნიერება თავისუფალი ჭიდაობის შესანიშნავი ზეიმის „დაბადება" მეხილა. ხალიჩაზე შევხვედრივარ ნოდარ ხოხაშვილს, სპარტაკ ქარსაულიძეს, გივი ყვარელაშვილს, ნოდარ ხუციშვილს. ასე რომ, ხალიჩის მასპინძლებს — ამ გოლიათური ძალის მქონე ოსტატებს — კარგად ვიცნობ. მეტოქეობას ხელი არ შეუშლია ჩვენი მეგობრობისთვის, რომელიც დღესაც გრძელდება. ათი წელია, პოლონეთის საუკეთესო მოჭიდავეები ჩამომყავს თბილისში, სადაც, ჩემი აზრით, ყველაზე ობიექტური მაყურებელია. საპასუხისმგებლო სტარტების წინ ქართველ ათლეტებთან შეხვედრა მათთვის კარგი გამოცდა იქნება. სიტყვამ მოიტანა და ვიტყვი, რომ ქართველი მოჭიდავეები ჩვენი ტურნირის — „ლოძის დიდი პრიზის" სასურველი მონაწილეები არიან. რაც შეეხება თბილისის ტურნირს, შეჯიბრების ორგანიზაცია ყოველწლიურად უმჯობესდება, სპორტსმენებს ვარჯიშისა და დასვენების შესანიშნავი პირობები აქვთ.

ზერმანდინ ენკე (მონღოლეთი. თბილისის ტურნირის ბრინჯაოს პრიზიორი):

— თბილისს მესამედ ვეწვიე. მიხარია, რომ ბოლოს და ბოლოს შევძელი საპატიო კვარცხლბეკზე ასვლა 65 კილოგრამ წონით კატეგორიაში. ჩვენ გვყავს ძლიერი მოჭიდავე, მოსკოვის ოლიმპიური თამაშების პრიზიორი ოიუნბოლდი, რომელიც თბილისის წლევანდელ ტურნირში ტრავმის გამო ვერ გამოვიდა. სწორედ მას აქვს ყველაზე მეტი შანსი ოლიმპიურ სარბიელზე გამარჯვებისა. მე 68 კილოგრამ წონით კატეგორიაში გამოვალ. ჩემი აზრით, აქ გიგაური იქნება ლიდერი.

იაროსლავ ბასკი (ჩეხოსლოვაკია. საერთაშორისო კატეგორიის პირველი კლასის მსაჯი):

— არაერთ დიდ საერთაშორისო ტურნირზე მიმსაჯია, თბილისში კი პირველად ვარ ამ როლში. მთელი პასუხისმგებლობით ვამბობ, რომ მსაჯობის დონე აქ მეტად მაღალია. ეს სავსებით ბუნებრივია, თბილისის ტურნირი ხომ სამართლიანად ითვლება ერთ-ერთ საუკეთესოდ მსოფლიოში. იგი ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატებსაც კი უტოლდება. მე ყურადღებით ვადევნებდი თვალს ქართველ ათლეტთა გამოსვლებს — ძალზე ძლიერი, ტექნიკური, აქტიური ბრძოლის მოყვარული სპორტსმენები არიან. გამაოცა ტატუაშვილმა. სიტყვები არ მყოფნის აღტაცების გამოსახატავად. იგი ჭეშმარიტად აღმოჩენაა ოლიმპიადის წინ. ვიცი, რომ თქვენში ჭიდაობა მეტად პოპულარულია, მაგრამ მაინც გამაკვირვა მაყურებელთა პროფესიულმა კომპეტენტურობამ. არც სპორტსმენისა და არც მსაჯის არც ერთი უმცირესი შეცდომაც კი არ გამოეპარებათ. ისიც კი ვიფიქრე, მათგან ნებისმიერი შეიძლება მსაჯად მოიწვიო-მეთქი.



ვოლფგანგ ნიჩკე (გდრ-ის გუნდის მწვრთნელი): აღტაცებული ვართ ზურაბ ტატუაშვილის ბრწყინვალე გამარჯვებით. გდრ-ის ჩემპიონი ახალგაზრდებს შორის ნესე მაიკი მასთან შეხვედრის შემდეგ ერთხანს გაოგნებული იყო, „იგი, უბრალოდ, ჯადოქარია" — ერთადერთი, რაც თქვა, ეს იყო. ისე კი ქართველი მოჭიდავეების ძალა საკუთარ ტყავზე გამომიცდია. შევხვედრივარ მარსაგიშვილს, მარშანიას, იაშვილს. წელს ფირზე აღვბეჭდეთ მაკასარაშვილის, გიგაურის, ხაბელოვისა და, რა თქმა უნდა, ტატუაშვილის ორთაბრძოლები, რაც ჩვენი ოლიმპიელების მოსამზადებლად გამოგვადგება.



კალევრო კიაელაინენი (ფინეთის დელეგაციის ხელმძღვანელი).

— სხვა დროს მე თქვენს ქვეყანაში კლასიკური სტილის მოჭიდავეები ჩამომყავდა, კარგად ვიცნობ ბლაგიძეს, ყაზარაშვილს, აფხაზავას. თავისუფალი სტილის მოჭიდავეებს კი პირველად შევხვდი. ტურნირი საუცხოოდ იყო ორგანიზებული. შესაძლებლობა გვქონდა გავცნობოდით თქვენს ლამაზ ქალაქს და სტუმართმოყვარე ხალხს. სპორტის სასახლეში ინტერესით ვადევნებდით თვალს ქართველ მოჭიდავეთა გამოსვლებს. ტატუაშვილმა ხომ ყველა მოგვხიბლა.

დან გეიბლი (აშშ-ის ნაკრების უფროსი მწვრთნელი, 1972 წლის თბილისის ტურნირისა და იმავე წლის ოლიმპიურ თამაშებში გამარჯვებული):

— როგორ ვაფასებ თბილისის ტურნირს? როცა მიუნჰენის ოლიმპიადისათვის ვემზადებოდი, მირჩიეს ჩემი შესაძლებლობანი საქართველოში გამომეცადა და აკი მართალიც ყოფილან. გარდა იმისა, რომ ყველა ქართველი მოჭიდავე მაღალი კლასის ოსტატია, ამ შეჯიბრებაზე სხვა ქვეყნების უძლიერესი ფალავნებიც იყრიან თავს. თბილისის სარბიელზე ოლიმპიური ოქროს ყველა პრეტენდენტი „მოვსინჯე" და შემდეგ მიუნხენში შედარებით იოლად მოვიგე ორთაბრძოლები. ცხადია, ჩვენი მოჭიდავეები ეცდებიან წლევანდელ ოლიმპიადაზე მაღალი ჯილდოები მოიპოვონ. გულახდილად გეტყვით, რომ ჩვენთვის ცნობილი იყო მაკასარაშვილის, გიგაურის, ხაბელოვის შესაძლებლობები, თბილისში ჩამოსვლამდე 52 კგ წონაში მედალს თითქმის მოპოვებულად ვთვლიდით, მაგრამ... ტატუაშვილის სახით საშიში მეტოქე გაგვიჩნდა.

ზამთრის XIV ოლიმპიური თამაშები

ფინელი მოთხილამურე — თამაშების გმირი

ოლიმპიადის დედაქალაქში ფინელი მოთხილამურე მარია-ლიისა ჰიამიალიაინენი მედლის მოპოვების ერთ-ერთ რიგით პრეტენდენტად ჩავიდა, სარაევოს კი სამგზის ოლიმპიური ჩემპიონის რანგში ტოვებს. 28 წლის ექიმმა-ფიზიოთერაპევტმა გუშინ მესამე ოქროს მედალი მოიპოვა — ამჯერად ყველას აჯობა 20-კილომეტრიან დისტანციაზე, სადაც ოლიმპიური ჯილდოები პირველად გათამაშდა. გამარჯვებულმა დაახლოებით 41 წამით (!) ჩამოიტოვა II ადგილზე გასული რაისა სმეტანინა (სსრ კავშირი), რომლისთვისაც ეს მედალი სარაევოში მოპოვებული მეორე „ვერცხლია“. სამწუხაროდ, საბჭოთა სპორტის ვეტერანი თანაგუნდელთაგან ერთადერთი აღმოჩნდა, ვინც ოლიმპიადაზე ღირსეული მეტოქეობა გაუწია აღიარებულ ლიდერებს და საბჭოთა სათხილამურო სპორტის პრესტიჟი დაიცვა. 20 კილომეტრზე რბოლაში სმეტანინას გარდა სსრ კავშირის კიდევ სამი წარმომადგენელი გამოდიოდა. მათი შედეგები ასეთია: ლიუბოვ ლიადოვა — VII ადგილი, ტამარა მარკაშანსკაია — XIII, იულია სტეპანოვა— XV. ბრინჯაოს მედალი კი ახალგაზრდა ნორვეგიელმა ანე იარენმა დაისაკუთრა.

ჰიამიალიაინენმა, გარდა იმისა, რომ სარაევოში ქალთა სამივე ინდივიდუალური რბოლა (5, 10 და 20 კმ) მოიგო, ბრინჯაოს მედალი მოიპოვა 4X5 კმ-ზე ესტაფეტაში. ასე რომ, იგი ზამთრის XIV ოლიმპიური თამაშების ჯილდოთა ყველაზე მდიდარი კოლექციის მფლობელი გახდა. თუ ამას მისი საქმროს, ჰარი კირვესნიემის მიერ მოპოვებულ ორ „ბრინჯაოსაც“ დავუმატებთ, მომავალი ოჯახის კოლექციაში უკვე ექვსი ოლიმპიური მედალი იქნება.

დღეს გადამწყვეტი მატჩებია

პარასკევს ჰოკეისტთა ტურნირზე ბოლოსწინა ტურის შეხვედრები გაიმართა. ფინალური ოთხეულის წარმომადგენელთა ორივე მატჩი მეტად საინტერესოდ, დაძაბულად მიმდინარეობდა.

შვეციის ნაკრებმა მედგარი წინააღმდეგობა გაუწია ჩეხოსლოვაკიის ეროვნულ გუნდს — პირველი ორი პერიოდის მანძილზე ანგარიში არ გახსნილა. ამაში დიდი წვლილი მიუძღვით მეკარეებს — შვედ რიდერვალსა და ჩეხოსლოვაკიელ შინდელს. მაგრამ მესამე პერიოდის მე-5 წუთზე რიდერვალიც უძლური აღმოჩნდა ჰრდინას ზუსტი დარტყმის წინაშე — 1:0. მატჩის დამთავრებამდე წუთნახევრით ადრე „ტრე კრუნურმა“ მეკარე მოედნიდან [illegible]. მაგრამ ეს ბოლო გაბრძოლება მარცხით დამთავრდა: ბენაკმა ცარიელ კარში გაიტანა შაიბა — 2:0.

სსრ კავშირისა და კანადის ჰოკეისტთა მატჩის პირველი ნახევარიც თანაბარ ბრძოლაში მიმდინარეობდა — ანგარიში მხოლოდ მეორე პერიოდში გაიხსნა (კოვინი). საბჭოთა სპორტსმენებმა მეტოქეს თანდათან მოახვიეს თავს თავიანთი ნება და კოჟევნიკოვმა, სკვორცოვმა და დროზდეცკიმ კანადელთა კარში კიდევ სამი შაიბა გაიტანეს. 4:0 — ასე დამთავრდა ეს შეხვედრა.

ოქროს მედლების ბედს გადაწყვეტს ტურნირის ბოლო მატჩი, რომელშიც ერთმანეთს შეხვდებიან ჩეხოსლოვაკიისა და სსრ კავშირის ნაკრები გუნდები. III ადგილისთვის შვედები და კანადელები იბრძოლებენ.

V ადგილი დაიკავა გფრ-ის ეროვნულმა გუნდმა, რომელმაც ფინელები დაამარცხა — 7:4. ასეთივე ანგარიშით აშშ-ის ნაკრებმა მოუგო პოლონელებს და VII ადგილი დაისაკუთრა.

ორიოდე კვირის წინათ ეს სპორტსმენები ჩვენი საყვარელი სამთო-სათხილამურო კურორტის ბაკურიანის თოვლიან ტრასებს სერავდნენ, გულმოდგინედ ემზადებოდნენ სარაევოს დიდი სტარტებისთვის.

საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატებმა, დინამოელებმა იური კაშკაროვმა (სვერდლოვსკი), ალგიმანტას შალნამ (კაუნასი), დიმიტრი ვასილიევმა (ლენინგრადი) ბაკურიანიდან არა მარტო საკავშირო თასი წაიღეს, არამედ სპორტისმოყვარულთა დიდი იმედიც გაიყოლიეს. და აი, მათ არმიელ სერგეი ბულიგინთან (ნოვოსიბირსკი) ერთად ოლიმპიური იგმანის ველიკო პოლეს ტრასაზე ტოლი არ დაუდეს არც ნორვეგიელებს, არც დასავლეთგერმანელებს და არც ფინელებს, ამანათრბენის ოთხივე ეტაპზე შესანიშნავად იასპარეზეს და ზამთრის XIV თამაშების ჩემპიონები გახდნენ.

სხვებთან ერთად გამარჯვებულთა სიხარული ჩვენი რესპუბლიკის სპორტის მოყვარულებმაც, განსაკუთრებით, ცხადია, ბაკურიანელებმა გაიზიარეს.

ეს სურათები „ლელოს“ ბორჯომელმა ფოტოკორესპონდენტმა **ნუგზარ ქარელმა** ბაკურიანში ბიატლონისტთა უკანასკნელი სტარტის შემდეგ გადაიღო. ოლიმპიური ნაკრების უფროსი მწვრთნელი, სპორტის დამსახურებული ოსტატი ვიქტორ მამატოვი წარმატებას ულოცავს ქვეყნის მთავარი გუნდის წევრებს. ცეცხლის ხაზზეა საბჭოთა კავშირის თასის სამგზის მფლობელი, 21 წლის იური კაშკაროვი, რომლის ზუსტმა სროლამ მნიშვნელოვნად განაპირობა ჩვენი ნაკრების მიერ „სარაევოს სინჯის ოლიმპიური ოქროს“ მოპოვება.

გამარჯვებულთა ქვარცხლბეკი

18 თებერვალი

სათხილამურო სპორტი. რბოლა 20 კმ. ქალები

1. მ.-ლ. ჰიამიალიაინენი (ფინეთი) — 1:01.45,0; 2. რ. სმეტანინა (სსრ კავშირი) — 1:02.26,7; 3. ა. იარენი (ნორვეგია) — 1:03.13,6; 4. ბ. პაულუ (ჩეხოსლოვაკია) —1:03.16,9; 5. მ. რისბიუ (შვეცია) —1:03.31,8; 6. ბ. პეტერსენი (ნორვეგია) — 1:03.49,0.

ციგურებით სწრაფრბენა. 10 000 მ. ვაჟები

1. ი. მალკოვი (სსრ კავშირი) — 14.39,90; 2. თ. გუსტაფსონი (შვეცია) — 14.39,95; 3. რ. შიოფიში (გდრ) — 14.46,91; 4. გ. კარლსტადი (ნორვეგია) — 14.52,40; 5. მ. ჰადშიფი (ავსტრია) — 14.53,78; 6. დ. ბოჩკარიოვი (სსრ კავშირი) — 14.55,32.

ელვა-ინფორმაცია

თბილისის „დინამო“ მესამეა!

გუშინ კიევში თბილისის „დინამოს“ კალათბურთელებმა სსრ კავშირის ჩემპიონატის მორიგ მატჩში დაამარცხეს ტაშკენტის „უნივერსიტეტი“ — 103:96. ახლა, მიუხედავად დარჩენილი ერთი მატჩისა, თბილისის „დინამო“ სამი ტურის ჯამში III ადგილზე გავიდა, რაც მას კიევის „სტროიტელთან“ ბრინჯაოს მედლებისთვის დავაში გარკვეულ უპირატესობას აძლევს: ჩვენი კალათბურთელები პირველ მატჩს ითამაშებენ მეტოქის მოედანზე, შემდეგ კი შინ გამართავენ საპასუხო შეხვედრას. თითო გამარჯვების შემთხვევაში მეტოქენი გადამწყვეტ მესამე მატჩს ისევ თბილისში ითამაშებენ.

წინა დღის შეხვედრები ასე დასრულდა: „ჟალგირისი“ — „სტროიტელი“ 75:84 (45:42), ცსკა — „დინამო“ 114:62 (53:23), „უნივერსიტეტი“ — ასკ 93:58 (46:31).

„სპორტლოტო“

გუშინ მოსკოვში შედგა „სპორტლოტოს“ მორიგი, მეშვიდე ტირაჟები.

„სპორტლოტო 6 49“-დან: 4 (კრივი), 12 (ტანვარჯიში), 25 (ციგაობა), 32 (ფიგურული ციგურაობა), 36 (საავიაციო სპორტი), 38 (აკრობატიკა).

„სპორტლოტო 5 36“-დან: 11 (ფრენბურთი), 16 (ცხენოსნობა), 27 (მშვილდოსნობა), 32 (ფიგურული ციგურაობა), 33 (ფეხბურთი).

სსრ კავშირის თასზე

გუშინ ჩვენი ქვეყნის სამხრეთის სტადიონებზე დაიწყო სსრ კავშირის თასის 1984 წლის გათამაშება ფეხბურთში. წლევანდელ შეჯიბრებაში გამოდის უმაღლესი, პირველი და მეორე ლიგების 48 გუნდი, გათამაშების პირველ, ოცდამეთორმეტედფინალის მატჩებში მონაწილეობა მიიღეს პირველი და მეორე ლიგების გუნდებმა, უმაღლესი ლიგის კოლექტივები, შეჯიბრებაში მეთექვსმეტედფინალიდან ჩაებმებიან. პირველი ეტაპიდან (მხოლოდ ალმა-ათის „ქაირათი“ და დონის როსტოვის არმიელთა კლუბი გამოდის).

სსრ კავშირის თასის გათამაშების ფორმულა ბოლო წლებში ხშირად იცვლება, მაგრამ წლეულს, შარშანდელის მსგავსად, მეტოქეები ყოველ ეტაპზე ერთმანეთთან ითამაშებენ მხოლოდ თითოჯერ, წაგებული ეთიშება გათამაშებას. თუ სათასო მატჩის ძირითადი დრო დამთავრდა ფრედ, დაინიშნება დამატებითი 30 წუთი (15-15-წუთიანი ტაიმები შეუსვენებლად) და თუ გამარჯვებული არც ამ შემთხვევაში გაირკვევა, უძლიერესს 11-მეტრიანების სერიები გამოავლენს.

გუშინდელ შეხვედრებში გამარჯვებული გუნდები მეთექვსმეტედფინალურ მატჩში (22 თებერვალს) შეხვდებიან უმაღლესი ლიგის გუნდებს. თასის გათამაშების მერვედფინალი გაიმართება 26 თებერვალს, მეოთხედფინალებისა — 2 და 3 მარტს, ნახევარფინალები — 6 ივნისს, ფინალური მატჩი — 24 ივნისს.

ოცდამეთორმეტედფინალურ მატჩებში გამარჯვებული მასპინძელი გუნდები მეთექვსმეტედფინალში უმაღლესი ლიგის გუნდებს მეტოქეთა მინდვრებზე შეხვდებიან, მაგრამ თუ პირველ ეტაპზე სტუმრები გაიმარჯვებენ, — შემდგომი ეტაპის მატჩს ისინი საკუთარ მინდორზე ჩაატარებენ.

სსრ კავშირის თასი პირველად 1936 წელს გათამაშდა. მაშინ ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ მოსკოვის „ლოკომოტივი“ და თბილისის „დინამო“, ანგარიშით 2:0 გაიმარჯვეს მოსკოველებმა. შარშან თასს დაეუფლა დონეცკის „შახტიორი“.

ყველაზე მეტი გამარჯვება სსრ კავშირის თასის გათამაშებაში მოპოვებული აქვს მოსკოვის „სპარტაკს“ — 9. ექვსჯერ გაიმარჯვეს კიევის დინამოელებმა, ხუთჯერ — მოსკოვის „დინამომ“, ხუთჯერ — მოსკოვის „ტორპედომ“, 4-4-ჯერ — ცსკა-მ და — დონეცკის „შახტიორმა“, 2-2-ჯერ თბილისის „დინამომ“, მოსკოვის „ლოკომოტივმა“ და ერევნის „არარატმა“ თითოჯერ ლენინგრადის „ზენიტმა“, ლვოვის „კარპატმა“ და დონის როსტოვის არმიელთა გუნდმა.

გუშინდელი ტურის მატჩებში მონაწილეობდა ჩვენი რესპუბლიკის — I ლიგის 3 გუნდი — ქუთაისის „ტორპედო“, ლანჩხუთის „გურია“ და ბათუმის „დინამო“.

ქუთაისის „ტორპედომ“ შინ მიიღო ლიპეცკის „მეტალურგი“.

ლანჩხუთის „გურიამ“ გაგრის მახლობლად, ალახაძის სპორტულ ბაზაზე ითამაშა რიგის „დაუგავასთან“.

ბათუმის დინამოელები სიმფეროპოლში შეხვდნენ ადგილობრივ „ტავრიას“.

თასის პირველი ეტაპის სხვა მატჩების შედეგები:

ქუთაისის „ტორპედოსა“ და ლიპეცკის „მეტალურგის“ მატჩის შესახებ ჩვენმა ქუთაისელმა კორესპონდენტმა **ბ. ნამიჭეიშვილმა** შეგვატყობინა:

თამაში მეტად საინტერესო, დაძაბული იყო. ქუთაისელებმა დასაწყისიდანვე მიაღწიეს უპირატესობას, „მეტალურგი“ საკმაო ხნის მანძილზე მხოლოდ დაცვაზე ზრუნავდა, 25-ე წუთზე იგნატენკომ შეძლო დაერტყა კარში. ეს იყო და ეს.

მე-19 წუთზე მეგრელაძე-კვერნაძის კომბინაციას სტუმრების კარში გატანილი პირველი გოლი მოჰყვა, მაგრამ მცირე ხნის შემდეგ ტორპედოელთა დაცვის შეცდომა კარგად გამოიყენა რაზნოვმა და გაათანაბრა ანგარიში — 1:1.

28-ე წუთზე მინდვრის შუაგულში წამოწყებული კომბინაცია ზუსტი დარტყმით დაამთავრა მეგრელაძემ, ტორპედოელები წინ გავიდნენ — 2:1.

შესვენების შემდეგ თამაში ერთხანს გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა, შემდეგ კი ქუთაისელებმა კვლავ ხელთ იგდეს ინიციატივა და კვერნაძემ საბოლოოდ განამტკიცა თავისი გუნდის უპირატესობა — 3:1.

მატჩის საუკეთესო მოთამაშეებად ჟიურიმ დაასახელა ქუთაისელი კვერნაძე და სტუმრების მეკარე ლავრუშინი.

ქუთაისის „ტორპედოს“ შემადგენლობა: **გაბელია, კოხტავა, ჭელიძე, თავაძე, კურტანიძე, ბურკაძე, კორღალიძე, მ. ხვანაძე (ა. კერესელიძე), მეგრელაძე, ვახაძე, კვერნაძე. იმსაჯა ლიტველმა არბიტრმა ი. მილიაუსკასმა.**

ლანჩხუთის „გურია“ ალახაძის სპორტული ბაზის მინდორზე შეხვდა რიგის „დაუგავას“. დაძაბული ბრძოლის შემდეგ მატჩი ანგარიშით 2:1 მოიგო „დაუგავამ“. ლანჩხუთელებმა ასეთი შემადგენლობით ითამაშეს: **ვერულაშვილი, გილიგაშვილი, ცნობილაძე, ხურცილავა, მელიქია, ებანოიძე (თევზაძე), ხანიკაძე, ფრიდონიშვილი, ჩხაიძე, უგრელიძე, აკოფიანი.**

I ლიგის დებიუტანტი ბათუმის „დინამო“ სიმფეროპოლში შეხვდა ადგილობრივ „ტავრიას“. ანგარიშით 3:1 გაიმარჯვა „ტავრიამ“. ბათუმელთაგან ბურთი გაიტანა გორგილაძემ.

გუშინდელ ტურში ჩვენი ყურადღების ცენტრში იყო მატჩი ალმა-ათის „ქაირათსა“ და კიევის არმიელთა გუნდს შორის. შეხვედრის ძირითადი და დამატებითი დრო დამთავრდა ფრედ — 1:1. **დამატებითი პენალტებით გაიმარჯვეს კიეველებმა (5:4), რომლებიც მეთექვსმეტედფინალში (22 თებერვალი) უმასპინძლებენ თბილისის „დინამოს“.**

გუშინდელი ტურის სხვა შეხვედრები: „როტორი“ (ვოლგოგრადი)— „დნეპრი“ (მოგილიოვი) 1:2, „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) — „ისკრა“ (სმოლენსკი) 0:2, „ფაკელი“ (ვორონეჟი) — „ტექსტილშჩიკი“ (ივანოვო) 2:1, „კოლოსი“ (ნიკოპოლი)— „ზნამია ტრუდა“ (ორეხოვო ზუევო) 0:1, დუშანბეს „პამირმა“ და კიროვის „დინამომ“ ითამაშეს ფრედ — 1:1, დამატებითი პენალტებით გაიმარჯვა „პამირმა“ — 5:3.

რედაქტორი ა. გოგელია.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“. ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47, 93-97-59; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56; მასობრივი ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-51; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97 58; ქადრაკის — 93-97-26; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-57.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, 380096, თბილისი — 96, ლენინის ქ. № 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის, 29. 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22
ИНДЕКС 66435
უე 07086